თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №32

ქ. თბილისი 2018 წელი, 20 ნოემბერი, 12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, დავით უთმელიძე, ბექა დავითულიანი, თევდორე ისაკაძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, დავით უჯმაჯურიძე, ვახტანგ შაქარიშვილი,

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი გაბაშვილი, გოჩა თევდორაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი:

„თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-0318319154-03)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ, მისი თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 871 631,5 ათას ლარით, რაც 2018 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 861 609,0 ათას ლარს, გაზრდილია 10 022,5 ათასი

ლარით. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–აღდგენა 105 858,5 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება 173 797,7 ათასი ლარი; – ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 92 996,0 ათასი ლარი; – ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 5 897,0 ათასი ლარი; – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 20 648,1 ათასი ლარი; – ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 191 030,7 ათასი ლარი; – განათლება 159 063,2 ათასი ლარი; – კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 21 593,4 ათასი ლარი; – საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 3 608,8 ათასი ლარი. 2 – ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 97 138,1 ათასი ლარი. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 850 531,5 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: გადასახადები 658 415,2 ათასი ლარი⎫ - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში გათვალისწინებული ცვლილებების, ასევე 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად მუნიციპალიტეტებში, მათ შორის თბილისის ბიუჯეტში მიმართული იქნება დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც გაიანგარიშება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებებით გათვალისწინებული ფორმულის მიხედვით. ზემოთ აღნიშნულის მიხედვით დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 473 415,2 ათას ლარს. - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 150 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 19 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი. გრანტები 1 341,5 ათასი ლარი⎫ - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 881,5 ათასი ლარი, მათ შორის ევროკავშირის გრანტი - 850,3 ათასი ლარი ბიზნეს აქსელერატორის შექმნა და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის და როკფელერის ფონდის გრანტი - 31,2 ათასი ლარი 100 მედეგი ქალაქის ინიციატივის პროექტისათვის.; 3 - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 190 774,8 ათასი ლარი, მათ შორის:⎫ - შემოსავალი საკუთრებიდან – 8 650,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 70 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 47 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) 38 000,0 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები – 27 124,8 ათასი ლარი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროექტით განსაზღვრულია 675 360.2 ათას ლარი, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 85 926.4 ათასი ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 134 782.0 ათასი ლარი, პროცენტი 1 405.6 ათასი ლარი, სუბსიდიები 175 781.5 ათასი ლარი, გრანტები 920.3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 157 776.2 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 118 768.2 ათასი ლარით, მათ

შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა. არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 160 027.0 ათას ლარს, მათ შორის: – არაფინანსური აქტივების ზრდა – 180 027.0 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება – 20 000,0 ათასი ლარი. 4 ფინანსური აქტივების ცვლილება ფინანსური აქტივების ცვლილება (1 100.0) ათასი ლარი; –ფინანსური აქტივების კლება – 1 100,0 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება 2019 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (16 244.3) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2019 წლისათვის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 15 144.4 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქ. თბილისის 2019 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 871 631,5 ათას ლარს. 2019 წლის ბიუჯეტით დედაქალაქის პრიორიტეტები განისაზღვრა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - 105 858,5 ათასი ლარით, რომელიც 2018 წლის მაჩვენებლებთნ შედარებით შემცირებულია 73 342,2 ათასი ლარით. შემცირება აისახება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პროგრამაში, რაც ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ 2018 წელს თბილისის ბიუჯეტში ასახული იყო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი 20 000,0 ათასი ლარი. ასევე ტრანსპორტის განვითარების პროგრამაში ავტობუსების შესაძენად 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 31 221,1 ათსი ლარი. 5 პროგრამით გათვალისწინებულია მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა 5 000,0 ათასი ლარი, საბაგირო ტრანსპორტის განვითარება 7 000,0 ათასი ლარი. გარდა ამისა, პრიორიტეტი ითვალისწინებს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სულ 87 236.5 ათასი ლარი, მათ შორის დაგეგმილია 1051.6 ათასი კვმ გზების კაპიტალური და 650.4 ათასი კვმ გზების მიმდინარე შეკეთება; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 173 797,7 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორიცაა ისტორიულ-კულტურული ძეგლების, მუზეუმების, ორბელიანისა და გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა ავარიული შენობების გამაგრება 15 000,0 ათას ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სავარაუდოდ 26 შენობის გამაგრება; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია 36 975.8 ათასი ლარი, მათ შორის სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია 8 852.5 ათასი ლარი, ხიდებისა და გვირაბების მოწყობა-

რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 25 623,3 ათასი ლარი და სხვა. პროგრამა გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. თბილისის მასშტაბით გარე ქსელის განვითარება 5,0 მლნ ლარის ოდენობით. ქვეპროგრამისათვის კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 35 780,3 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში 3 869,9 თასი ლარი, ნაძალადევის რაიონში 3 208,1 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში 3 905,8 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 3 077,6 ათასი ლარი, ვაკის რაიონში 3 484,7 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში 6 5 008,8 ათასი ლარი, ისნის რაიონში 2 663,2 ათასი ლარი, სამგორის რაიონში 4 420,7 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში 2 973,7 ათასი ლარი და მთაწმინდის რაიონში 3 167,8 ათასი ლარი. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 92 996,0₾ ათასი ლარით. 2018 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 1 789,8 ათასი ლარით. გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 26 250,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებებისათვის კი 61 354,0 ათასი ლარი. თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა 5 392,0 ათასი ლარი. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 5 897,0 ათასი ლარით.₾ პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება პროგრამა ბიზნესის სტიმულირება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 892,0 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები 50,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში 455,0 ათასი ლარი, მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა 360,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა 515,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია 185,0 ათასი ლარი, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება 50,0 ათასი ლარი. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება 3 390.0 ათასი ლარი. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვი₾თარება 20 648,1 ათასი ლარით, მათ შორის გლდანის რაიონში - 1 928,4 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 099,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 2 179,6 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში - 2 813,6 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 159,9 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 2 337,1 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 2 453,6 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 1 864,8 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 377,3 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 434,8 ათასი ლარი. პრიორიტეტი ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარებას, მათ აქტიურ ჩართულობას საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის 7 საქმეში. ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს ძირითადი მიმართულებების სრულად (100%- ით) დაფინანსებას: სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები (წყალსაწრეტი მილები, ქანობიანი და ბრტყელი სახურავი); ლიფტის შესაკეთებელი სამუშაოები (ლიფტები და სადარბაზოს სენსორული სანათები); წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები; 4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები; საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, ჭიშკარი, სადარბაზო, სადარბაზოს

შესასვლელის გადახურვა, სადარბაზოს კარები, თაღები და სართულშუა ნაპრალების სამუშაოები); პროექტირების სამუშაოები (არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომსახურება) და სხვა ღონისძიებები. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 191 030,7 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 48 377.6 ათასი ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია და გრძელდება ,,c" ჰეპატიტის დიაგნოსტიკის, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების და ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამები, გაზრდილი ოდენობებით არის წარმოდგენილი ქვეპროგრამები, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება. სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებულია 142 653,1 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, შშმ პირთა საკურორტო მომსახურების პროგრამა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების სკოლებში და სპორტულ დაწესებულებებში, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში. პროგრამა საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის. სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების პროგრამა დაგეგმილია 13 727,0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 18 825,0 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში - 2 300,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 600,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 1 800,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 1 600,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 1 625,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 2 200,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 200,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 500,0 ათასი ლარი. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში - 750,0 ათასი ლარი. 2018 წელს გაგრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და სხვა. განათლება 159 063,2 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 137 797,5 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დღეის მდგომარეობით ფინანსდება 180 საბავშვო ბაღი. პროგრამის ფარგლებში 2014 წლიდან დღემდე დასრულდა 20 ახალი ბაღის მშენებლობა. 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 10 ახალი ბაღის მშენებლობის დასრულება. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 21 593,4 ათასი ლარით. 2019 წელს გაგრძელდება პროგრამა სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება, 9 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, მწრვთვნელთა მხარდაჭერა და სხვა. საზოგადოებრივი

წესრიგი და უსაფრთხოება 3 608,8 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამა ცხოველთა მონიტორინგი - 3 158,3 ათასი ლარით და პროგრამა თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 450,5 ათასი ლარით. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 97 138.1 ათასი ლარით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 2 500,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის, მუნიციპალიური განვითარების ფონდის სესხის დაფარვა 4 000,0 ათასი ლარი და ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) 13 649,9 ათასი ლარი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი განსაზღვრულია 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტს ახლავს ინფორმაციული ხასიათის დანართები: დანართი 1 – პროგრამული ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, წარმოდგენილია სრულიად ახალ ფორმატში, სადაც მოცემულია პროგრამის საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები, ხოლო იქ სადაც შესაძლებელი იყო ერთ-ერთ შეფასების ინდიკატორად დამატებულია გენდერული ინდიკატორი; დანართი 2 - სხვა ხარჯების შესახებ, დანართი 3 - ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ, დანართი 4 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესახებ, დანართი 5 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული გენდერული საკითხები საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახული იქნა გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირება. აღნიშნული პოლიტიკის წარმოებამ ხელი შეუწყო გენდერული საკითხების ინტეგრირებას ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში. შესაბამისად 2019-2022 წლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში და 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გამოყენებული იქნა თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას. თბილისის ბიუჯეტის შედგენისას გენდერული ასპექტის გათვალისწინება დამატებული იქნა, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის დაგეგმვის ერთ-ერთი კომპონენტი. კერძოდ, პროგრამებში, რომლებიც რელევანტურნი არიან გენდერულ თემებთან, შესაბამისი გენდერული პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და აქტუალობის დასაბუთების ნაწილში, ხოლო სადაც შესაძლებელი იყო, პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გამოყოფილი იქნა გენდერული ასპექტის ინდიკატორი. პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები ესენია: გზების მოვლა-

შეკეთება; კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში; გამწვანების ღონისძიებები; თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ქვეპროგრამები; სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის სპორტული 11 ღონისძიებები, მწვრთნელთა მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება და სხვა. სამომავლოდ, გენდერული კვლევების ჩატარების კვალობაზე, შესაძლებელი გახდება უფრო მეტ საბიუჯეტო პროგრამაში იქნას გათვალისწინებული გენდერული საკითხები და შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრაც, რაც მოგვცემს საშუალებას ფინანსური რესურსების გენდერული საჭიროებების მიხედვით უფრო ეფექტურად გადანაწილებისთვის.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ 2019 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. კონკრეტულ ღონისძიებებში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის იკითხება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რაც მიუთითებს საბიუჯეტო რესურსების ეფექტურად გამოყენების პერსპექტივაზე.

კომისიას ხმათა უმრავლესობით, ბიუჯეტის პროექტის დახვეწისა და სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია გათვალისწინებული იქნას შემდეგი შენიშვნები:

- (პროგრამული კოდი 3.2) ქალაქის დაგვა-დასუფთავებაზე გამოყოფილი 61 მილ.ლარი საჭიროებს დამატებით დასაბუთებას, პროგრამაში არ არის გაწერილი თანხები შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით. მოგვარებულ იქნას ქალაქში ნაგავშემკრები კონტეინერების პრობლემა.

- ქალაქის განვითარების ხელშეწყობის ფონდის (პროგრამული კოდი: 02.10) ისტორიულ ნაწილში პრიორიტეტულ მიმართულებად იქნას მიჩნეული მიწისქვეშა კომუნიკაციების სამუშაოების დაფინანსება.

- წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნას ქალაქის ცენტრალური უბნების მსგავსად გარეუბნების ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების თანაბარი დაფინანსება.

- (პროგრამული კოდი 02.02) გაიზარდოს ავარიული მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების გასამაგრებელი სამუშაოების დაფინანსება.

აღნიშნულის გათვალისწინებით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 72-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი“, გამოთქმული

შენიშვნების გათვალისწინებით გადასამუშავებლად დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე